თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთიანი სავალდებულო ნორმების დადგენის პრინციპები

I. ქართული სალიტერატურო ენა, დამოწმებული წერილობითი ძეგლებით 15 საუკუნის მანძილზე, განუწყვეტელ განვითარებაში მყოფი ერთიანი სისტემაა, რომლის ისტორიის ახალი პერიოდი რუსთაველით იწყება.

II. ახალმა სალიტერატურო ქართულმა დღევანდელი, უაბალესი სახე თავისი, მე-19 — მე-20 სს. კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და, ნაწილობრივ, ვაჟა-ფშაველას (მაატვრული პროზა) — ხელში მიიღო.

III. სალიტერატურო ქართული ეყრდნობა როგორც მწერლობას, უმთავრესად, ისე ცოცხალ მეტყველებას. უკანასკნელი ყველა კილოთია წარმოდგენილი, რომელთა მონაწილეობა ენის ზრდის პროცესში თანასწორუფლებიანია იმდენად, რამდენადაც საქმე ლექსიკას სფეროს ეხება; ხოლო განსაკუთრებული ადგილი კილოთა შორის უპირავს ზ ო გ ა დ ქ ა რ თ ლ უ რ ს, რომელსაც წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება იდიომატიკისა და მართლმეტყველების მხრივ (წარმოთქმა, რიტმი, აქცენტუაცია).

IV. სალიტერატურო ენა ერთი უნდა იყოს და საყოველთაოდ სავალდებულო.

V. გადასინჯვას არ მოითხოვს ის ლექსიკონი და ისეთი ორთოგრაფიული და ენობრივ-ლიტერატურული წესები, რომლებიც ახალ სალიტერატურო ქართულში მყარი და მხოლოდ ერთი სახითაა მოცემული.

VI. ნოცილე წესების არსებობის შემთხვევაში სავალდებულო ნორმების შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:

1. მართლწერის (ორთოგრაფიული) ნორმა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს თითოეული ცალკე შემთხვევისათვის, ხოლო ლიტერატურულ-ენობრივი მოვლენებისათვის იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა კლასიკოსებთან დადასტურებულია პარალელური, გრამატიკულად კანონიერი ფორმები, მაინც საჭვენებელია უპირატესი მათ შორის (მაგ.: კანონიერია როგორც „საპირო არის“, ისე „საპიროა“, ოღონდ ამათგან უპირატესია „საპიროა“).

2. მოცილე ლექსიკური, ორთოგრაფიული და ლიტერატურულ-ენობრივი ფაქტებიდან და წესებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში, უფრო ეგუება სალიტერატურო ქართულის განვითარების ტენდენციას და კანონიერია გრამატიკულად;

ბ) უფრო ახალია ისტორიულად (მაგ., „ვითარცა" გამორიცხულია როგორც არქაიზმი; ერთადერთია, ამ მნიშვნელობით, „როგორც");

გ) სავა თანაბარ პირობებში წარმოების მიხედვით უფრო მარტივია და ნათელი, რაც ზოგ შემთხვევაში დიფერენციაციასაც გულისხმობს;

დ) ეროვნულ-ხალხურია და უპირისპირდება ბარბარიზმსა და ხელოვნურ ფორმას.